№ 8

ᲨᲐᲠᲐᲗᲙᲕᲘᲡᲘ

4 სექტემბერი

1909 წ.

მომავალი

№ 8

ᲨᲐᲠᲐᲗᲙᲕᲘᲡᲘ

4 სექტემბერი

1909 წ.

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

ქალაქ გარეთ		თ ფ ი ლ ი ს შ ი	
3 თვით	—2 მან. 50 კაპ.	3 თვით	—2 მან. 20 კაპ.
1 „	— — 90 „	1 „	— — 80 „

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

ცალკე ნომერი ყველგან—**ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს **15 კ.**; უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს **5** ს-მდე **3** მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ-დღე, დილის **9** ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე.

რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ:

რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

ᲤᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲐᲓ ᲠᲔᲡᲘ:

Тифлисъ, тип. „Сорапань“, Калистрату Конст. Цуладзе.

წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ“

(წინანდელი „ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲐ“ ქუთაისშა)

1 ენკენისთვიდან ხსნის განყოფილებას გემნაზიის ქ. ბულვარის პირდაპირ ალ. თუმანოვის სახლებში დაიწყებს ვაჭრობას ქართულ რუსული **სახელმძღვანელოებით, სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთებით, რვეულებით, ღია ბარათებით, ფოსტის და ღერბის მარკებით და სხვა.**

კანტორას მოდის მუდამ დღე ყველა ადგილობრივი და სატახტო უფრო გავრცელებული **ჟურნალ-გაზეთები** და იღებს იმათზე **ხელის მოწერას**. ვისაც სურს ახალი გაზეთები დილითვე მიიღოს ბინაზე,—უნდა ჩაეწეროს კანტორაში, აჩვენოს ადრესი და კანტორის მეგზეთეები მიუტანენ მათ შეკვეთილ გაზეთებს.

მაღაზია ღებულობს: ქართულ-რუსულ **ახალ წიგნებს**, გამოჩენილ მწერლების და მოღვაწეების **სურათებს**, ნახატებიან **ღია ბარათებს** და სხვ.

კანტორა ღებულობს: ყოველ-გვარ **განცხადებებს** გაზეთებში დასასტამბათ, **საკომისიოთ** წიგნებს და **წარმომადგენლობას** მთელი გუბერნიისათვის წიგნების გამომცემლების, და რედაქციების და ქაღალდის ფაბრიკებისაგან.

კანტორას შეკვეთილი აქვს საზღვარ-გარეთ რუსულ-ქართული **„რემინგტონი“** და მიღებისათანავე დაიწყებს კერძო ფასიან სამუშევრების მიღებას. ფასები გადაწერისა კანტორაში იქნება გამოცხადებული. 6—4

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 6 ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲔᲡ

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ

ᲠᲔᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲗ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ

ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲐ

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ:

დაუკრავს სამხედრო მუსიკა, ზურნა, გრამოფონი, მანდალინისტთა ორკესტრი, იმღერებენ ქართულათ და რუსულათ, ითამაშებენ ლეკურს, წაიკითხავენ ლექსებს, ჰაერში აუშვებენ მაშხალებს, ბურთებს (შარებს) და სროლა ნიშანში, **ჭიდაობა**, რგოლების ჩამოცმევა, ლატარეია-ალეგრი, ბაზარი, ბოჭკა-ილბალი, „პტი-შვო“, ცხენების ჯირითობა, ღია ბარათი ლექსებით, მარჩიელი ჩაჩნის ქალი, მეოცე საუკუნის აფთიაქი, კომფეტები, ყვავილები, ფოსტა, ბუფეტი, ბავშვებისათვის დროშებით სეირნობა და ტომრებში სირბილი: ვინც გაასწრებს საჩუქრათ მიიღებს მამალს. ლატარეიაში ჩაგდებულია **ერთი ქცევა მიწა, ცხენი, გახედნილი თხა უნაგირით, სამოვარი, საათი, გიტარა** და სხ. მოსეირნეთ დაურიგდებათ კონტრამარკები, რომელზედაც ვსთხოვთ დააწერონ სახელი და გვარი ულამაზეს მოსეირნეთა შორის. ვინც რიცხვით მეტ ხმას მიიღებს, საჩუქრათ მიეცემა ოქროს ედეონი. ულამაზეს ქალს ირჩევენ კაცები,—კაცს ქალები. შემოწირულება მიიღება ექიმ ტიტიკო ერისთავის სახელზე.

ბალში შესასვლელი ფასი 20 კაპ. ბავშვებისთვის 10 კაპ.

სეირნობის დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე.

6 ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲔᲡ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡᲐ, დღით კვირას ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

თავ. სიმონ დავითის ძის გუგუნავას

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და პატივისმცემელთ ქვრივი განსვენებულისა კნ. ფეოდოსი ნიკოლოზის ასული გუგუნავასი და შვილები თავ. დავით და გრიგოლ სიმონის ძენი გუგუნავები. (2—2)

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ღია ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ე. ბ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. ვ. დამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა.ი პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 გ.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ხ. მუხსელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_1$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ.; ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—53

ᲙᲐᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

Ი. Შ. ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

Ძ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

„ᲒᲣᲗᲐᲜᲘ“,

შედგენილი ქართულ. გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ.

(თვ. 0—20)

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

თ. ᲙᲘᲙᲕᲐᲫᲔ

ამზადებს ქალ-ვაჟთ **გემნაზიებისა, რეალური, საკომერციო, მიწის მზომელთა და იუნკერთა** სასწავლებლებისათვის, **კადეტთა კორპუსისა, სამასწავლებლო ინსტიტუტისა, ხაბუხგალტერო** კურსებისათვის, **ხახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის ხაშეგირდოთ.**

მიიღება ანბანის უცოდინარი პატარა ბავშვები, რომელთა **ჯგუფში ჩაწერა** უკვე დაწყებულია.

მასწავლებლათ მოსამზადებელთა პირველ ჯგუფში უკვე ეწერებიან და სწავლა დაიწყება, როცა 6 კაცი შესრულდება.

სპეციალური მომზადება ქართული გიმნაზიებათვის.

ქირა თითო თვის **წინდაწინ.**

ადრესი: ვაგზალთან, გოგოლევის ქუჩა, სახლი № 62 ეზოში. (18—11)

გამოვიდა ახალი გამოცემა „ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲐ“-სი

„ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲜ ᲬᲔᲡᲘᲗ“

კითხვის სწავლება ანდრია შუბლაძისა, ფასი 10 კ. და **„ქართული მოძრავი ასოები“** ფ. 5 კ. ცალი. იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებსა და გაზეთების აგენტებთან. (5—3)

С. и Ѳ. Грязновы готовятъ учениковъ въ среднія учебныя заведенія.

Имѣются группы, готовящихся въ 4, 5 и 6 классъ гимназіи.

Адресъ: Вера, Измайловскій пер. № 6, въ верхнемъ этажѣ кв. 8. (10—3)

● ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ●

ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ.

შაბათს, 5 სექტემბერს, **ნ. Ა. ᲛᲝᲠᲝᲖᲝᲕᲘ** წაიკითხავს ლექციას.

ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲣᲠ ᲥᲕᲘᲡ ᲫᲔᲑᲜᲐᲨᲘ

პოპულიარული სურათები ძველ და ახალ მეცნიერ მკვლევართა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები 2 მანეთიდან 50 კაპეიკამდე.

ᲫᲛ. ᲖᲣᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ.

კვირას, 6 ენკენისთვეს 1909 წ., სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან ბ.ბ. **ა. იმედაშვილისა** და **ი. ივანიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ᲧᲐᲩᲐᲦᲚᲔᲑᲘ

ტრაგედია 5 მოქ. შილერისა, თარგმ. ნ. ავალიშვილის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ქიქოძე; ბ.ბ. ანაშვილი, ბადრიძე, ბაქრაძე, გოცირიძე, იმედაშვილი, ივანიძე, ზურაბიშვილი, ნარი, რომანიშვილი, რევაზოვი, შათირიშვილი, მეტრეველი და ჯაბაური.

დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ საათზე.

ადგილების ფასი 5 კაპ. 50 კაპ.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათს, 17 ენკენისთვეს. მზადდება წარმოსადგენათ **„ᲭᲘᲠᲕᲔᲣᲚᲘ ᲪᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲯᲣᲚᲔᲑᲐ“** კომ. 4 მოქმ. შექსპირისა; **„ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ“** ოსტროვსკისა და სხ.

დაბეჯითებით ვსთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება **სრულიად** აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით **საზოგადოება** დაგვეხმარება.

რეჟისორი **ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

ადმინისტრატორი **ᲡᲕᲘᲠᲔᲚᲘ.**

ᲘᲕ. ᲙᲐᲩᲣᲮᲝᲕᲘ

გადავიდა, ბელინსკის ქუჩ. № 18.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲐ

—

გაზეთმა „ივერიამ“ რუსის ხალხთან ყოველგვარი დიპლომატიური მოლაპარაკება შესწყვიტა, საქართველოს ისტორიულ საზღვრებზე ჟანგიანი ზარბაზნები ჩაამწკრივა, სამღვთო ომი გამოაცხადა და თავისებური ფახა-ფუხით საომრათ მოემზადა. ჩვენმა გაზეთმა მაშინვე აღნიშნა „ივერიის“ ჯოხზე ჯდომა და მის კაცი-ჭამიობას ღირსეული მსჯავრი დასდო.

„ივერიამ“ თავის მართლება დაიწყო, მაგრამ მისდა საუბედუროთ, კიდევ უფრო გაიხლართა მისგანვე დაგებულ მახეში. ის არწმუნებდა თავის მკითხველებს, რომ მე ის არ მითქვამს, რასაც „მომავალი“ მწამებს; მათ დაამახინჯეს ჩემი აზრი, ცილი დამწამესო. რომ ჩვენ „ივერიის“ აზრი სისწორით გადავეცით მკითხველს, ამას ამტკიცებს, სხვათა შორის „დროებაც“, რომელსაც „ივერიის“ აზრი სწორეთ ისე გაუგია, როგორც ჩვენ.

„ივერიამ“ უვიცობით თუ მოუფიქრებლათ—სწერს ის—წამოისროლა: რუსის ხალხი ქართველი ხალხის მტერია, ამიტომ ქართველებმაც ბრძოლა უნდა გაიჩაღონ რუსების წინააღმდეგაო. „ჩანგმა“ სამართლიანათ დაჰგმო ასეთი შეხედულება და სთქვა, რუსის ხალხი რა შუაშია, როდესაც ქართველებს რუსის მთავრობა ავიწროებსო. ეს შენიშვნა არ მოსწონებია „ივერიას“, „ჩანგს“ აზრების გადამახინჯებას სწამებს და ცდილობს თავის აზრი განმარტოს. ბევრი ეცადა „ივერია“, მაგრამ მაინც ვერ დაამტკიცა, რა შუაშია რუსის ხალხი იქ, სადაც რუსის მთავრობა ქართველებსა სჩაგრავს.

„ჩანგმა“ „ივერია“ სხვათა შორის, იმაშიაც დაიჭირა, რომ რუსულ გაზეთში გარეულ პოლიტიკას აწარმოებთ და ქართულში კი—შინაურსო, რუსულში „პოლიციელებს“ ხელს ულოკავთ, ხოლო ქართულში კი—რუსების წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომს აცხადებთო“. („დრ.“ 194).

„დროება“ თავის მხრით შენიშნავს:

„ზევით „იბერია“ ამბობდა, რუსები იმიტომ არიან ჩვენი მტრები, რომ მათ თავიანთი სახელმწიფო აქვთ, საკუთარი სკოლა, სასამართლო და ხაზინა· ცხადია, „ივერია“ წინააღმდეგი არ იქნება, თუ ყველა ეს სიკეთე საქართველოსაც ექნება“.

„ივერია“ რასაკვირველია, წინააღმდეგი არ იქნება. ჩვენ ვფიქრობთ: არც „დროება“ იქნება ამის წინააღმდეგი. მას აქედან შესაფერი დასკვნა არ გამოყავს. დასკვნა კი ასეთია: რუსები იმიტომ არიან ქართველების მტერი, რომ მათ აქვთ თავისი საკუთარი სახელმწიფო, სკოლა და სხვა. მაშასადამე, თუ ეს საკუთარი სახელმწიფო, სკოლა და სხვა ქართველებსაც ექნებათ, ცხადია, ესენიც სხვა რომელიმე ერის მტრათ გადაიქცევიან. აი სად მივყევართ „ივერიის“ ლოღიკას. ვერ მიულოცავთ „დროებას“ ავტონომიის ასეთ ქომაგ პოპულიზატორებს.

„დროება“ უსხნის „ივერიას“:

„შეიძლება რუსის სოციალდემოკრატები ცენტრალისტები იყვნენ, მაგრამ აქ რუსის ხალხი არაფერ შუაშია. ეს მხოლოდ რუსის სოციალდემოკრატების **უვიცობის ბრალია**“.

ამ „უვიცობის“ წინააღმდეგ „დროებას“ და მის წინაპართ არა ერთი და ორი ისარი დაუმტვრევიათ, არა ერთი და ორი ყუმბარა დაუცლიათ, მარა დღემდის თავისი „უვიცობის“ გარდა არა დაუმტკიცებიათ-რა.

დასასრულ, „დრ.“ სამართლიანათ შენიშნავს „ივერიას“:

„დიდს იმედებს ამყარებთ თქვენს მომავალზე, მაგრამ საეჭვოა, რადგან უპრინციპობას და აზრთა არევ-დარევას დიდი მომავალი არა აქვს“.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით „დრ.“, რომ უპრინციპობას და აზრთა არევ-დარევას დიდი მომავალი არა აქვს, რომ ეს მართლაც საშიშარი სენია, მარა ამ სენით ხომ „დროებაც“ არის შეპყრობილი. 193 №-ში B. თავ-მომწონეთ აცხადებს: „მე სრულიად არ მიმაჩნია სირცხვილათ „აზრთა გამოცვლა“. აზრს არ იცვლის ის, ვინც თავის დღეში არა ფიქრობს და არ აზროვნობსო“. გამოდის, რომ აზრის გამოცვლა, კვირაში შვიდი პარასკევი,—სასახელო და სასიქადულო ყოფილა. დღეს აქეთ, ხვალ იქით. ასე ჩემო მანასეო! „დროების“ მანასე გვარწმუნებს:

„არ არის ევროპაში არც ერთი ცნობილი სოციალისტი, რომ მისი დღევანდელი აზრი ამ ოცი —ოცდაათის წლის წინათ მის მიერვე გამოთქმულ აზრს ჰგავდეს“.

ბ-ნი B. სავსებით მართალია. ასეთები მართლაც ბევრია. აი თუნდ ცნობილი ლ. ტიხამიროვი. ცნობილი რევოლიუციონერი, ცნობილი შავრაზმელი გახდა. „ნარ. ვოლ.“ რედაქტორი შავრაზმულ „მოს. ვედ.“ რედაქტორი გახდა. საერთაშორისო სოლიდარობის მებაირაღტრე—კაცი-ჭამია შოვინისტი გახდა. ესეც ხომ აზრის გამოცვლაა ბ. B? თქვენ, ალბათ, არც ეს მიგაჩნიათ სირცხვილათ! რა უყოთ, კაცია და გუნებაო, იტყვიან.

—

აზრის გამოცვლა „ზაკავკაზიესაც“ განუზრახავს. 168 №-ში აცხადებს:

„გვაზავას და თუმანოვის ჩვენი რედაქციიდან გასვლა საშუალებას გვაძლევს უფრო ნათლათ გამოვაჩინოთ ჩვენი იდეიური ფიზიონომია, კატეგორიულათ ვსთქვათ, რომ მხოლოდ ეროვნებათა თანასწორობა და არა რომელიმე ერთ ეროვნების გეგემონია შეადგენს ჩვენი საერთო მუშაობის მიზანს...“

ცხადია, „ზაკავკაზიე“ დღემდის ერთი ერის გეგემონიას იცავდა და იდეიურ ფიზიონომიას მოკლებული ნაციონალიზმის მებაირახტრეთ გამოდიოდა. მაშ, რაღაზე გვიჯავრდებოდენ ეს დალოცვილები,

როცა ჩვენ სწორეთ ასეთათ მიგვაჩნდა ის?! დღეს „ზაკავკაზიე“ ყველა ამ ცოდვებისაგან იჯმნის, ხელ-ახლა ინათლება, ძველი გზის დაგდებას და ერთი ერის, მაგიერ ყველა ერის ინტერესების თანასწორათ დაცვას გვპირდება—скатертью дорога თუ კი... თუ კი, რასაკვირველია, პირს არ იტეხს, დაპირებას აასრულებს და სიტყვას საქმესაც მიუმატებს.

ᲕᲘᲡᲘ ᲑᲠᲐᲚᲘᲐ?

(გაგრძელება).

საფინანსო კომისიაში ამ წინადადებამ დიდი კამათი გამოიწვია. მემარჯვენეები იმ აზრის იყვენ, რომ კომისიას უარეყო ნამესტნიკის წინადადება. კავკასიაში ავაზაკობასთან ბრძოლა ადგილობრივი საჭიროებაა, ამიტომაც ამ საჭიროებისთვის უნდა იხარჯებოდეს ადგილობრივი საშუალება და არა ხაზინისო. ოქტომბრისტები მთავრობის წარმომადგენლებს შეეურებდენ. ნამესტნიკის წარმომადგენელს სიტყვა არ უთქვამს ნამესტნიკისავე საბჭოს წინადადების დასაცველათ. ეტყობოდა, რომ საკითხი შეუცვლელათ, ძველებურათ დარჩებოდა და ისე წარუდგებოდა დუმას განსახილველათ. ეს კი იმას მოასწავებდა, რომ დუმაც ამ საკითხს გვერდს აუვლიდა; სწორეთ ამ დროს გამოითქვა კიდევ ასეთი წინადადება; დაადგინოს დუმამ, რომ მთავრობამ კავკასიის მომავალი სმეტის განხილვის დროსთვის წარმოადგინოს კანონ-პროექტი კავკასიის საპოლიციო დარაჯთა შესახებ.

მთავრობის წარმომადგენელნი სრულიად წინააღმდეგი იყვნენ ასეთი წინადადების. საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ჩვეულებრივი ხერხით ეკანებოდა იქით-აქეთ, რომ ეს წინადადებაც ჩაეფუჩეჩებია.

თითქმის მთელი დღე გაგრძელდა დავა-ყაყანი ამ საკითხზე. ბოლოს მთავრობის წარმომადგენელნი დასთანხმდენ, მხოლოდ იმ პირობით, რომ კანონ-პროექტის წარმოდგენის ვადა არ ყოფილიყო აღნიშნული, მაგრამ ესეც ხომ საკითხის სამუდამოთ დამარხვა იქნებოდა. დასასრულ, როგორც იქნა გარდა უკიდურესი მემარჯვენეებისა, დასთანხმდენ ზემოყვანილ წინადადებაზე, ეს წინადადება მოტივებით ასეა განმარტებული საფინანსო კომისიის მოხსენებაში:

„შეუდგა რა სმეტის პარაგრაფების განხილვას, კომისიამ მიაქცია ყურადღება პირველი პარაგრაფის მეშვიდე მუხლს, სადაც აღნიშნულია 2,363,260 მ., ეს ფული ეძლევა ხაზინას საერობო შემოსავლიდან ამიერ-კავკასიის დარაჯთა შესანახათ. ამდენი ხარჯი საერობო შემოსავლიდან უსაშუალებოთ სტოვებს მთელ მხარეს სხვა და სხვა აუცილებელ საჭიროებათათვის. საერობო გადასახადების მომატება კი ფრიად დაამძიმებს ხალხს. ამ გარემოებამ არა ერთხელ მიიქცია ყურადღება მთავარმართებლის და კავკასიის ნამესტნიკისა, ორივენი შუამდგომლობდენ, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი გაენთავისუფლებიათ ამ ხარჯისაგან“.

შემდეგ მოთხრობილია მოხსენებაში მთელი ისტორია ამ საკითხის შესახებ დაბოლოს მოხსენება დაასკვნის: „რომ აღნიშნულ გასავალს აქვს საყოველთაო სახელმწიფო მნიშვნელობა; ეს გასავალი ადგილობრივ საერობო ხარჯებს ფრიად უმძიმებს მცხოვრებთ და იმავე დროს უსაშუალებოთ სტოვებს უარსებითელს მხარეებს საერობო მეურნეობისას. ამიტომაც საფინანსო კომისია ფრიად სასურველათ სცნობს რაც შეიძლება მალე იქნეს განხილული საკითხი იმის შესახებ, რომ საპოლიციო დარაჯთა ხარჯებისაგან განთავისუფლებულ იქნეს კავკასია“.

ამ რიგათ, ჩვენი წინადადება საპოლიციო დარაჯთა შტატის სრულიათ მოსპობის შესახებ არ გავიდა. ჯერი მიდგა კითხვაზე: იყო სასურველი თუ არა, რომ დუმას დასტური დაეცა ასეთი წინადადებისთვის: წარმოედგინოს მას მთავრობისგან მომავალი სმეტის განხილვის დროისთვის კანონ-პროექტი დარაჯთა შესახებ ჩვენ ვამჯობინეთ ამ კითხვისთვის მხარის დაჭერა. რისთვის?

აი რისთვის: კავკასიაზე შეკითხვის დროს ჩვენ რაც ცნობები გვქონდა დარაჯთა მოქმედების შესახებ უკვე მოვიხსენიეთ. სენატორი კუზმინსკის ოფიციალური ცნობები, ნამესტნიკის მოხსენება და სხვა, ერთი სიტყვით, რაც ხელთ გვქონდა, დავქაჩეთ, თუ შეიძლება ასე მოგახსენოთ. ამრიგათ, რამდენათ საკითხს სააგიტაციო ხასიათი ქონდა, ჩვენ, შეძლებისდაგვარათ ვისარგებლეთ ჩვენ ხელთ არსებული მასალით. ეს მოხდა ამ წლის დასაწყისში. გავიდა რამდენიმე თვე და იგივე კითხვა კავკასიის დარაჯთა შესახებ ხელ-ახლა წინ დაგვიდგა. ჩვენი ცნობები, რომელნიც კავკასიაზე შეკითხვის დროს მოვიყვანეთ, შეკრებილია 1905 წლამდე. მას შემდეგ ნამოქმედარის შესახებ ჩვენ ხელთ არაფერი გვქონდა. მაშ, უნდა გაგვემეორებია იგივე, რაც ვსთქვით სამი თუ ოთხი თვის წინეთ. ამას ვარჩიეთ შემდეგი: დაე, მიიღოს დუმამ წინადადება და გამოსთქვას სურვილი, რომ მთავრობამ ახლო მომავალში წარმოადგინოს კანონ-პროექტი კავკასიის დარაჯთა შესახებ. ეს კიდევ ერთხელ მოგვცემს საშუალებას საკითხს უფრო დაწვრილებით შევეხოთ.

ძლიერ ადვილი შესაძლოა მთავრობამ ყურიც არ გაიბერტყოს და არავითარი კანონ-პროექტი არ წარმოადგინოს. ჩვენ ამითაც ვისარგებლებთ.

აი მომავალ სესიაში ჩვენ შემთხვევა გვეძლევა კვლავ შევეხოთ ამ საკითხს. გადაშალეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს სმეტა და იქ ამოიკითხავთ: კავკასიის საპოლიციო დარაჯთა შესანახათ ხარჯი ამდენი და ამდენი. აი აქ შეგვიძლია ხელ-ახლა ავიღოთ კითხვა, ხელ-ახლა წარვადგინოთ წინადადება, ხელ-ახლა ვიყვიროთ და დავაფასოთ. მთავრობას სრულიად დაავიწყდა დუმის წინადადება, ის ყურსაც არ იბერტყს; თვით დუმაც არაფერს ამბობს; მარტო ყიჟინი და აურ-ზაური როდი კმარა, ომს უნდა ფული, ფული და კიდევ ფული; ტრიბუნას ფაქტები, ფაქტები და კიდევ ფაქტები.

კიდევ უკაცრავათ, თავი შეგიწყინეთ წვრილმანით, მაგრამ ეს „დროების“ ბრალია. უბრალო მკითხველმა შეიძლება ასე დაწვრილებით არ იცოდეს ამბავ-ხამბარი. „დროებამ“ კი კიდევ უფრო დაწვრილებიც იცის ყველაფერი. სტენოგრაფიული ანგარიშები, დუმის კომისიის ოქმები, რუსეთის ჟურნალ-გაზეთების და ათასგვარი წყაროები იმის შესახებ, თუ რა ხდება სახელმწიფო სათათბიროში, ყველაფერი ხელთ აქვს, იცის, ათასჯერ აქვს აწონილ-დაწონილი, გაზომილ-გამოზომილი, შეფარდებულ-შემოწმებული. ამიტომაცაა, რაცა „დროება“ ამბობს: ბატონო, რას ბრძანებთ! დეპ. ჩხეიძეს რომ მასალა მივაწოდოთ ერთი კაკალა კბილი აღარ შეგვრჩება პირში! სუყველას ჩვენივე მასალით და ცნობებით ჩაგვამტვრევსო!

დიახ, როცა საქმის მცოდნე და გარეგოების დაწვრილებით გაცნობილი „დროება“ ამას ამბობს, მკითხველი შეიძლება მართლაც იქვში შევიდეს და თავს შეეკითხოს: ნუ თუ ჩხეიძე მართლა ასეთი ვინმეა, რომ მიწვდენილი მასალით ყველას თავპირს ამტვრევს?! აი ასეთი მკითხველებისთვის შევჩერდით ჩვენ მოხსენებულ კითხვაზე, თუ, რასაკვირველია, ასეთი მკითხველები არიან ჩვენში. ცნობები კი ჩვენს ქვეყანაში მრავალზე უმრავლესია. გადაშალეთ ჩვენი გაზეთების ფურცლები და ყოველ გვერდზე პირველათ ცემა-ტყეპის ამბავი გეცემა თვალში. ამას წინეთ „ჩანგში“ ამოვიკითხე: გურიაში ვიღაც აზნაურს სცემეს ძალზედაო. უნებლიეთ მომაგონდა ის კაცი, რომელმაც ულვაშები აიკრა, ცხენი კი დაუბორკავათ გაუშვა საბალახოზე; მომაგონდა აგრეთვე ჩვენი თავად-აზნაურობის კრება ქუთაისში წარსულ წელს და გულში ვთქვი: ჩემზე რომ ამდენი აურ-ზაური ასტეხა ამ ჩვენმა თავად-აზნაურობამ, ამას ის არა სჯობია ცნობები შეკრიბოს რამდენ აზნაურიშვილს სცემეს ამ გამოყოლაზე და ეს ცნობები ჩვენ მოგვაწვდინონ-მეთქი.

რასაკვირველია, თავად-აზნაურობა ამას არ იზამს, ანდა. ვერც გაბედავს. ის უკვე შეეჩვია მათრახებს. ის მხოლოდ ჩვენ წინააღმდეგ ფაფხურობს და მამლაყინწობს, აქ იჩენს პატრიოტობას და სარწმუნოებისათვის თავგამოდებულებას, რაც შეეხება მათრახებს კისერში, ამას არა უშავს რა.

კ. ჩხეიძე.

(შემდეგი იქნება).

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 სექტემბერი.

ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘᲗ

სალონიკი. სალონიკში რუსეთის საავათმყოფოს შენობის დასრულების გამო მოხდა საავათმყოფოს კომიტეტის სხდომა. სხდომას დაესწრენ მანასტირიდან მოსული რწმუნებულნი, რომელთა ხარჯზე აშენდა საავათმყოფო. საავათმყოფო დეკემბრის პირველ რიცხვებში გაიხსნება.

სტამბოლი. იემენის კუნფლედუში, სადაც ადგილობრივი მუტსარიფი მოკლეს, მაგდის მომხრე არაბებმა ოსმალთა ორი ბათალიონი ამოხოცეს. მოვიდა ოსმალეთის ორი კანონერკა. ოსმალეთის ესკადრის დანარჩენი ნაწილი წითელ ზღვაში გავიდა.

დასაჯეს ხუთი სომეხი, რომლებსაც ადანში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. პატრიარქის პორტასთან მოლაპარაკებისგან არაფერი გამოდნა. პატრიარქი დაბეჯითებით მოითხოვს სამსახურიდან გასვლას.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

სკოპინი. გაიხსნა სახალხო მასწავლებელთა პირველი სიეზდი. შეიკრიბა 100 კაცზე მეტი. განზრახულია სამის მაგიერ ოთხი წლის სწავლის კურსი შემოიღონ. სიეზდი ხუთ დღეს გაგრძელდება.

ალექსანდროვსკი. სოფელ გულიაიპოლეში დაიწვა 23 სახლი. ზარალი 35,000 მანეთია. დაზარალებულთა დასახმარებლათ მოხდება ერობის საგანგებო კრება.

სიმფეროპოლი. სოფელ ვოინკოში მოკლეს სახელმწიფო არყის დუქნის ნოქარი.

ხარბინი. სდგება სავაჭრო ექსპედიცია მონგოლიაში, მატყლის კეთების შესასწავლათ.

პეტერბურგი. ხვალ კანონთა კრებულში გამოქვეყნდება უმაღლესათ დამტკიცებული, მინისტრთა საბჭოს დებულება ძირითად კანონების 96 სტატიის ხმარების შესახებ. მინისტრთა საბჭომ ამის შესახებ შემდეგი წესები დაადგინა: 1) კუთვნილებისამებრ საზღვაო და სამხედრო სამინისტროს მიერ წინასწარ განხილვის შემდეგ, ხელმწიფე იმპერატორს წარედგინება ყველა საქმეები, რომლებიც ეხებიან არმიას და ფლოტს და სახელმწიფოს დაცვას. 2) საკანონმდებლო საქმეები, კაზაკების მართვა-გამგეობის და მოწყობის იმავ წესებით უნდა განხილულ იქნეს, როგორც პირველ მუხლშია აღნიშნული. 3) ამ წესით ნაწარმოები საქმეები უნდა ეხებოდენ პირდაპირ სამხედრო და საზღვაო სამინისტროთა უწყებებს. და არ უნდა ეხებოდენ საზოგადო კანონის საქმეებს. 4) იმ შემთხვევაში, როცა ახალი ხარჯების დაწვრილებითი აღნუსხვა შეუძლებელია, სამხედრო და სახალხო სამინისტროებს შეაქვთ საკანონმდებლო დაწესებულებებში დაახლოებითი ანგარიში ახალი ხარჯების და მოითხოვენ ნებართვას დაწვრილებით გამოანგარიშებისთვის. 5) ძირითად კანონების 86 სტატიით ყველა ის საქმეები, რომლებიც ეხებიან კაზაკთა სამოქალაქო მართვა-გამგეობას, ექვემდებარებიან საზღვაო და სამხედრო სამინისტროებს და სხ. დებულება ესე უმაღლესათ დამტკიცებულ არს 24 აგვისტოს 1909 წელს.

პერმი. სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩეველათ სამღვდელოებამ აირჩია დეკანოზი ვოსკრესენსკი.

კიევი. გაიხსნა მეფუტკრეთა სრულიად რუსეთის სიეზდი.

მოსკოვი. პოლიციამ დაიჭირა შუშიხ მცხოვრები ტაგიროვი, რომელსაც იარაღით სავსე ორი კალათი აღმოაჩნდა სპარსეთში გასაგზავნი.

ეკატერინოდარი. შირაგანსკის სტანიცაში ნავთმა ამოხეთქა 30 საჟენის სიმაღლეზე.

ჩელიაბინსკი. იშიმში სამღვდელოებამ სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლათ აირჩია მღვდელი ხუდიკოლსკი.

რიგა. გუბერნიის მემამულეთა სიეზდმა სახელმწიფო საბჭოს წევრათ ერთხმათ აირჩია ტიზენგაუზენი.

სარატოვი. კამიშინსკის მაზრის სოფ. ნიჟნი დობრინკაში ცეცხლმა გაანადგურა 67 სახლკარი.

პეტერბურგი. გრადონალნიკმა ნება დართო ნშობლებს, წაიყვანონ თავიანთი შვილები, რომლებიც იოანიტებს ყავდათ იმ პირობით, რომ შემდეგში აღარ მისცენ მათ.

ეკატერინოსლავი. ქალაქის ახლოს მატარებელში გაძარცვეს რკინის გზის მეარტელე. წაართვეს ოცი ათასი მანეთი. არიან დაჭრილები.

ადესა. რკინის გზის საანკეტო კომისიის, სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების წარმომადგენლების, ბირჟის კომიტეტის და ექსპორტიორების თათბირზე, განიხილეს საკითხი სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზაზე საქონლის გადაზიდვის შესახებ. მოისმინეს ზოგიერთების აზრი მიღებულ იქნეს ზომები დეფექტების თავიდან ასაშორებლათ, რაც დამღუპველ გავლენას ახდენს პურის ექსპორტზე.

ალექსანდროვსკი. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა ისესხოს ხარკოვის ბანკიდან ერთი მილიონი მანეთი და დაუგიროს ქალაქის მიწები და უძრავი ქონება. აზრათ აქვთ ფულებით გაასწორონ ძველი ვალები, გახსნან სავაჭო გიმნაზია, სამი სახალხო სკოლა, სასაკლაო, გააფართოვონ წყლის საყვანი და ქალაქი ელექტრონით გაანათონ.

ტაშკენტი. კურინსკის ბაზარზე, თფილისის მცხოვრებმა სომეხმა, რომელსაც ყოველივე უფლება ახდილი ქონდა, დაჭერის დროს დანით სასიკვდილოთ დასჭრა „გოროდოვოი“, მსუბუქათ სამი უარაული და ერთი გარეშე. გამოიწვიეს სალდათები, რომლებმაც მკვლელს იარაღი აჰყარეს და დაიჭირეს.

ჩერნიგოვი. სამღვდელოებამ სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლათ აირჩია მისლოვსკი.

ᲗᲝᲚᲔᲠᲐ.

პეტერბურგი. დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 40, მოკვდა 4, ავათ არის 332.

ასტრახანი. ავათ გახდა 3, მოკვდა 2.

კასტრომის მაზრაში—11, მოკვდა 4.

კრონშტატში—1, ავათ არის 2.

გურნგებურგში—მოკვდა 2, ისახიმასტალში ავათ გახდა 1.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗ.

ლონდონი. კავშირის სასამართლომ დაადგინა გადასცეს რუსეთის მთავრობას რუსეთის ქვეშევრდომი ვიქტორ ვასილიევი, რომელიც ამ ჟამათ სატუსაღოში ზის. მას აბრალებენ ბანკის გაძარცვაში მონაწილეობის მიღებას.

ტანჟერი. სულთანმა 29 აგვისტოს მიიღო ელჩები. გალიარმა წაიკითხა კოლექტიური ნოტა, რომლითაც როგის მომხრეების მიერ ტყვეებისადმი ცუდ მოპყრობის გამო სასტიკ პროტესტს აცხადებენ. მულაი-გაფიდმა უპასუხა, რომ არ ფიქრობს განაგრძოს ძველებურათ როგის მომხრეების დასჯა.

ლონდონი. ორი დღის კამათის შემდეგ საზღვაო პალატამ მიიღო საფინანსო კანონ-პროექტის პარაგრაფი, რომელიც მემკვიდრეობაზე ბაჟს ეხება. სხდომა დილის 4 საათსა და 30 წუთამდე გაგრძელდა.

ფრანკფურტი მაინზე. „ცეპელინი მესამე“ მანჰეიმში აფრინდა. შიგ ისხდენ პრინცი ავგუსტ ვილჰელმი და ფილიპე კობურგსკი.

ვენა. რუმინიის კათოლიკეთა ეპისკოპოსთა კრებამ წმინდა ტახტს საჩივრით მიმართა სახალხო განათლების მინისტრ აპონიზე, რომელმაც სავალდებულოთ გახადა სკოლებში მამა ჩვენოს მადიარულ ენაზე სწავლება.

ზაგრები ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘ. ბრალდებულმა დაათავა სიტყვა და მოითხოვა ძმებ პრიბიშევიჩების ორეშანინის, ვეკიჩის და ჟივკევიჩის სიკვდილით დასჯა, ‚დანარჩენ 49 დამნაშავისთვის პროკურორი თხოულობს გაგზავნილ იქნან კატორღაში ოცი ოცი წლით.

პოზნანი. სასამართლომ რეიხსტაგის დეპუტატი ბერჟინსკი 150 მარკით დააჯარიმა, ძალმომრეობისთვის წაქეზების და საზოგადო მშვიდობიანობის დარღვევისთვის, რაიცა გამოიწვია მის მიერ 1907 წელს 7 იანვარს პოლონელების წინასწარ საარჩევნო კრებაზე წარმოთქმულმა სიტყვამ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ

ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘ.

ზენჯანლების დამორჩილება. ზენჯანში ამას წინათ მღელვარება დაიწყო. სპარსეთის მთავრობამ გადასწყვიტა მათ დასამშვიდებლათ დამსჯელი რაზმის გაგზავნა, ზენჯანელებმა რომ ეს გაიგეს, დეპეშით მორჩილება განაცხადეს და ითხოვეს—ჯარს ნუ გამოგზავნითო.

კაზაკების დატყვევება. ეფრემის წინადადების თანახმათ, იარაღი აყარეს და დაატუსაღეს ყველა ის კაზაკები, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ ძარცვაგლეჯაში თეირანის აღების დროს.

სათარ-ხანის მოწოდება. სათარ ხანი თურმე ძალიან ნაწყენია, რომ მოძრაობის მეთაურებმა ის დაიჭიწყეს და სამინისტროს წევრათ არ მიიწვიეს. მოლაბარაკებია პირველი მეჯლისის წევრებს და მხურვალე აგიტაციას ეწევა სეპეხდარის და ასადის „უზურპაციის“ წინააღმდეგ. ამ დღეებში გამოვიდა მოწოდება, რომელზედაც ხელი უწერია სათარ-ხანს. მოწოდება ურჩევს ხალხს—დაბეჯითებით მოითხოვონ ნამდვილი მეჯლისის მოწვევა, რადგან ეხლანდელი, დროებითი მეჯლისი „უზურპატორების“ ყურ-მოჭრილი მონაა. მოწოდებას, „ბაქოს“ სიტყვით, დიდი გავლენა მოუხდენია.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

სად არის აზეფი? „რ. ს.“ კორესპონდენტისათვის ბურცევს უთქვამს: სარწმუნო წყაროებიდან გაგებული ცნობებით ვამტკიცებ, რომ აზეფი ამ ჟამათ რუსეთშია და განსაკუთრებულ მოვალეობას ასრულებსო.

სახელმწიფო დუმაში. „ბაქოს“ სიტყვით, დუმის წრეები, მომავალ სესიაში ფიქრობენ პრეზიდიუმის ხელ-ახალი არჩევნების მოხდენას. სოციალდემოკრატებს განზრახვა აქვთ მომავალ სესიაში შეიტანონ დუმაში კავკასიაში ერობის შემოღების და თავის დახსნის გაუქმების კანონ-პროექტი.

მინისტრის ცირკულიარი. იგივე გაზეთი იტყობინება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ცირკულიარი დაუგზავნა გუბერნატორებს, სამხედრო სამართალში გადაცემას დიდი სიფრთხილით მოეპყარით. ნუ გადასცემთ ისეთ საქმებს, რომელსაც აშკარა ტეროორისტული ხასიათი არ აქვსო.

მამა და შვილი სახრჩობელაზე. კიევის სამხედრო სასამართლომ ამას წინათ გაარჩია ეგრეთ წოდებულ „შიგროვსკის რესპუბლიკის“ საქმე. ბრალს სდებდენ 50 კაცს. ამათში 9 სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. უკანასკნელთა შორის არის ყოფილი დეპუტატი იანიში და მისი ვაჟი, ბრალდებულებმა განაჩენი გაასაჩივრეს. უმაღლესმა სამხედრო-სასამართლომ საჩივარი უყურადღებოთ დატოვა.

გუბერნატორი და დეპუტატი. ვლადიმირსკის დეპუტატმა ჩერნოსვიტოვმა მიმართა ადგილობრივ გუბერნატორს მიეცა მისთვის ნება წაეკითხა მოხსენება სახელმწიფო დუმის მოქმედების შესახებ. გუბერნატორმა შემდეგი პასუხი მისცა:

— თქვენ კადეტების პარტიას ეკუთვნით?—შეეკითხა ის.

— დიახ,—უპასუხა ჩერნოსვიტოვმა.

— რახან აგრეა, იცოდეთ, რომ ხუთი წლის განმავლობაში, თქვენ სახელმწიფო დუმის წევრათ იქნებით, ვერ ეღირსებით, რომ ჩემს გუბერნიაში წაიკითხოთ ან მოხსენება ან ლექცია. მე უფრო მშვიდობიანათ ვგრძნობ თავს, როცა ამომრჩევლებს მოხსენებას არ უკითხავენ კადეტები. აი თქვენ წაიკითხავთ მოხსენებას, მერე მე საქმე უნდა გამიჩინოთ, უნდა დავიჭირო გიმნაზიელები და გიმნაზისტკები. არც თქვენ გესიამოვნებათ და არც მე.

— კი, მაგრამ მე გიმნაზისტკებს და გიმნაზისტებს არ ავურჩევივარ სახელმწიფო დუმაში და არც მსურს მათ წავუკითხო რამე.

— არა, არა—გააქნია ხელები გუბერნატორმა—ასეა თუ ისე, მე თქვენ არავითარ ლექციის და მოხსენების წაკითხვის ნებას არ მოგცემ.

ჩერნოსვიტოვსაც რაღა გზა ქონდა, დაემორჩილა ბედს.

ᲘᲡᲞᲐᲜᲘᲐ

ისპანელების სიმკაცრე. ლონდონიდან იუწყებიან, რომ ისპანიის ჯარის ნაწილი ყოველივეს და ყველაფერს ცეცხლითა და მახვილით ანადგურებს. გენ. მარინამ განკარგულება მოახდინა დასწვან კაბილების სოფლები, ააფეთქონ სახლები და აიკლონ არე მარე. ასეთმა ბარბაროსულმა განკარგულებამ თვით სალდათებიც ააღელვა.

მანიფესტაციის მოლოდინში. მთავრობის სისასტიკე რევოლიუციონერების წინააღმდეგ უმაღლეს წერტილამდე ავიდა. ამან გამოიწვია პარიჟში მთავრობის მსხვერპლთა დამცველი კომიტეტის დაარსება. ამ დღეებში მოელიონ დიდ მანიფესტაციას ფერის მომხრეებისაგან, რისთვისაც მთავრობა დიდ სამზადისშია.

ᲖᲘᲜᲐᲘᲓᲐ ᲥᲣᲩᲔᲜᲙᲝ

ჯაშუშმა ზინაიდა ქუჩენკო-კერენსკისმა ორ ერის და ორს კაზეთის თანამშრომელს გულახდილათ დუმტკიცა, რომ უგედა ის ბრალ-

დებები, რასაც მას ბურტვეი აწერდა სიმართლე იყო. ამისთვის ის ერთხელაც არ გაწიოდებულა, მისი უტიფარი სახის ნაკვთები ერთხელაც არ შეშერთალა. ეგონა ამასთან ერთათ ის უფალს ეუბნებოდა, რომ მას ბერლინში არავითარი საქმე არ ქონია და არც ექნებოდა, რადგან იქ თავის დღეში არ ყოფილა რუსეთის ბოდიციური სააგენტო. რაც ამას ამბობდა ის, მას მიზნათ ქონდა არ აემხედრებია თავის წინააღმდეგ ბერლინის საზოგადოება და მიზეზი არ მიეცა ბერლინის ბოდიციისთვის მიეღოთ მის წინააღმდეგ რაიმე ზომები. როგორც ვიცით, ჯაშუშ ეუზენკომ ეურადღება არ მიაქცია თავის მთავრობის რჩევას გადმადუელიყო ცხრა მთას იქით, შორს, ბრაზილიაში. მას განზრახვა და იმედიც ქონდა, რომ მოახერხებდა ბერლინში მშვიდათ და წუნარათ ცხოვრებას. ეი, სწორეთ ამ მიზნით ის უარს ეუბნა მის მოვალეობას ბერლინში. მის ამ განზრახვას საფუძველიც ქონდა თუ სახეში მივიღებთ გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატ“-ის ოფიციოზურ ცნობას. ამ გაზეთში მოთავსებული იყო შემდეგი ცნობა.

„ეუზენკოს თავის დღეში არავითარი საქმე არ ჩაუდენია ბერლინში მეოთე რეგიმენტიცენერებ შორის. ის თვითონ ამბობს, რომ მოქმედებდა უგულგენ, გარდა ბერლინისა. ამიტომ ბერლინის ბოდიციას არავითარი საქმე არა აქვს გამოკვლევია მისი წარსული „მოღვაწეობა“ და რადგან ეხლა ის აქ სცხოვრობს, რაკორც „სამსახურიდან გადამდგარი“, ბოდიციას საბუთი არა აქვს მიიღოს რაიმე ზომები მის წინააღმდეგ. სულ სხვა საქმეა, რაც საქმე ეხება იმ პირს, რომელიც უცხოეთის სახელმწიფოს ბოდიციის სამსახურში არის და მოქმედობს იქ. ასეთ შემთხვევაში ის კეთილგანწყობილ უნდა იქნას.

ასეთმა ოფიციოზურ ბოდიციურმა ცნობამ საუკეთესო გავლენა მოახდინა თვით ეუზენკოზე, ხოლო საზოგადოებაში კი დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მრავალ გაზეთებში დაიწერა წერილები, სადაც კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ ბერლინის ბოდიციის ასეთ მოქმედებას. „ბერლინერ ტაგებლატმა“, რომელმაც უკომენტარიოთ მოათავსა ეს ცნობები, საჭიროთ მოთავსა ვრცელი წერილი და დასკვნითებით კამოაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა არ დაინდობდა ისეთ მოხელეებს, როგორიც ეუზენკო არის. „მორგენ ბოსტი“ სწერდა რუსეთის საწამლავზე, რომელმაც მოსწამლა ბერლინის ჭაერი. „დი ველ ამ მონტახ“-ი სწერდა, რომ „რუსეთის სანდალი ამაგე დროს ნემეცების სანდალი ხდება“. მას არ სწამს, თითქო ბერლინის ბოდიციამ არაფერი არ იცოდეს ეუზენკოს მოღვაწეობის შესახებ. შემდეგ გაზეთი განცვიფრებაში მოდის, რომ ის მთავრობა, რომელიც ასე სასტიკათ ეკრეკება თავის სახელმწიფოდან რუს-სტუდენტებს, ბატიოსან მუშებს, რომლებსაც ნება მისცეს თავს დასწრებოდენ ნემეც მუშათა სახალხო კრებას, რუსულ სამკითხველოებს, რადგან იქ არა-დეგადური, სოციალისტური გამოცემები აქვთ და სხვ. ეურსაც არ იბერტყავს ეუზენკოს შესახებ და არხეინათ ითმენს მის იქ ყოფნას.

ამ ამბების შემდეგ მადალი სფერები შეინძრენ. რადგან მეორე დღესვე ისევ „ბერლინერ ტაგებლატ“-ში მოთავსეს ცნობა, რომ „ბატიოტემეული ეუზენკო ბოდიციის სამსახურში მიიწვიეს და ბერლინიდან გასვლა აუკრძალესო.

ეხლა ადრ იცის კაცმა ვის დასდოს ბრალი, სრულიად უბრალო რუსის სახელს და რუსულ დაწესებულებების დეგენაში, გერმანიის მთავრობას თუ რუსეთის ბროგოკატორებს. აქაურ რუსეთის ახალშენში ხშირათ მოაგონებენ ეხლა, რომ ეუზენკო ხშირათ მიდიოდაჩეხოვის სახელობაზე აგებულ სამკითხველოში, რომელიც კამოურკვეველ მიზეზების გამო დაიხურა და მისი ხელმძღვანელნი განდევნა. ეუბნა გარეშეა, რომ ეუზენკოს, გამოსვლის მრავალ სხვა ფაქტებზე ქონდა გავლენა. გაზეთი „და ცაიტ ამ მონტახი“ სწერს: „ადგილობრივი მთავრობა დიდათ შესცდება, რაც ამბობს, რომ ბერლინში რუსეთის ბოდიციის აგენტურა არ არსებობს. რუსეთის ბოდიციის ერთი აგენტი, რომელიც უნიჭობის გამო დათხოვნილ იქნა აგენტობისგან ამბობს, რომ ბერლინში 1902 წლიდან არსებობს რუსეთის საიდუმლო ბოდიციის აგენტურა. ის შესდგება სამი მოხელესგან „თვალეურის მგდებლების“ და სამი ბროგოკატორის, რომლებსაც ეკუთვნოდა ზინაიდა ეუზენკოც. „დათხოვნილი აგენტი აგენტ ზედამხედველთა რიცხვს ეკუთვნოდა. სამსახურში შესვლისთანავე ის დარწმუნდა რა ძნელი იყო რუსეთის ბოდიციისთვის ბერლინში მუშაობა, რადგან ბრუსიის ბოდიცია მეტათ ფხიზლობდა. ამიტომ პეტერბურგიდან უბრძანეს ბერლინის ბროგოკატორებს არაფერი მოეხდინათ იქ. და მართლაც, 1907 წელს სვინერუნდში განზრახულ მეკვლელობის შესახებ თათბირი დეიშეიგში მოხდა და არა ბერლინში. ეს განზრახვა სასრულეში ვერ მოიყვანეს, რადგან ამ აქტის მოხდენამდე ბევრი რუსი სტუდენტი, რომლებიც ამ საქმეში მონაწილეობას იღებდენ, გაძევეს ბერლინიდან და რუსის მთავრობას გადასცეს. ეს ჯაშუში აგენტი კიდევ მრავალ ამბებს მოგვითხრობს ბერლინში რუს ჯაშუშ ბროგოკატორების მოქმედების შესახებ.

ახალი ამბები

ჩამოხრჩობა. 3 სექტემბერს, დილის 5 საათზე ჩამოახრჩვეს კონსტანტინე ევსეევი, რომელსაც კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლომ 22 აგვისტოს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა პოლიციელ კორჩმაროვის და კაზაკ ოტრიშკოს მოკვლისათვის.

✦ სროლა. 2 სექტემბერს, დილის 10 საათზე სიონის ქუჩაზე, ქარვასლასთან მდგომ პოლიციელს არ. არუშანოვს, რომელიც აფრიკანის სავაჭრო სახლში მსახურებს, ბოროტ-გამზრახველებმა აუტეხეს სროლა, რომლის დროსაც არუშანოვი მძიმეთ დასჭრეს ზურგში. სროლის დროს აგრეთვე მსუბუქათ დაიჭრა გორის მაზრის სოფ. მთაწმინდის მცხოვრები კონსტანტინე ალ. ჩაჩანიძე. ამ ადგილას პოლიციამ საჩქაროთ ალყა შემოარტყა და კოლოკოლნი შესახვევში დააპატიმრეს უცნობი კაცი, რომელმაც თავის თავს თელავის მაზრის სოფ. შალაურის მცხოვრები ანდრია მიხ. ოქრუაშვილი უწოდა; რუჟინის შესახვევში სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების სახლის ეზოსადგილში დააპატიმრეს მეორე უცნობი, რომელიც აღმოჩნდა სპარსეთის ქვეშევრდომი არსენ ხაჩატურიანცი. გაჩხრეკის დროს მათ იარაღი არ აღმოაჩნდათ. ამათ გარდა პოლიციამ კიდევ დააპატიმრა სპარსეთის ქვეშევრდომი ბაგრატ მუსესიანცი, რომელიც სპარსეთიდან ჩამოვიდა, სადაც ის მონაწილეობას იღებდა რევოლიუციონურ მოძრაობაში, ირიცხებოდა სათარხანის რაზმში და ბრძოლის დროს დაიჭრა კიდეც ხელში და ნახიჩევანის მაზრის მცხოვრები არამ ტერ-მირაკაზელიანცი. დაპატიმრებულთა შორის ოქრუაშვილი იცნეს, როგორც ერთი მსროლელთაგანი.

✦ თფილისის ტრამვაი. 31 აგვისტოს თფილისის ტრამვაის ახალმა დირექტორმა ბატაიმ განცხადება გააკრა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მორიგი მუშები ვალდებულნი არიან იმუშავონ ყოველგვარ სამუშაოზე, გარდა მორიგეებისაო. ეს განცხადება ეწინააღმდეგება ტრამვაისა და მუშებს შორის არსებულ ახალ ხელშეკრულობის მე-9 მუხლს, რომელშიაც ნათქვამია, რომ მორიგ მუშების მოვალეობას შეადგენს თვალყური ადევნონ მხოლოდ დაბრუნებულ ვაგონებს. ამიტომ მუშებმა საჩივარი აღძრეს საფაბრიკო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოში.—ამავე ხელშეკრულობის ძალით, დირექციამ ჯამაგირი მუშებს უნდა დაურიგოს თვის 3 და 18 რიცხვებში და ამ დღეს მუშაობა უნდა თავდებოდეს 1 საათით ადრე. ახალმა დირექციამ კი ამას ყურიც არ ათხოვა და იმის მაგიერ, რომ 1 საათით ადრე გაენთავისუფლებია მუშები 1 ნახ. ს. ზედ-მეტს ამუშავებდა კიდეც. მუშებმა ამის შესახებ ორჯერ მისცეს წინადადება დირექციას, მარა ამაოთ. მესამეჯერ მუშებმა უარი განაცხადეს ზედმეტ მუშაობაზე და გადასწყვიტოს საქმე განასაჩივრონ.

✦ ბოქაულის თავგასულობა. როგორც „ბატუმსკ. იზვეს.“ ოზუგეთიდან დეპეშით ატყობინებენ ადგილობრივ ბოქაულს უცემნია ქალაქის დუქნების მოიჯარადრეთათვის, რადგან მათ არ გადაუხდიათ ქალაქის გადასახადები. მოუჯარადრეებს დეპეშით მიუმართავთ ქუთაისის გუბერნატორისათვის, რათა მან შესაფერი ზომები მიიღოს და დანიშნოს გამოძიება.

✦ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის ინიციატივით შაბათს, 5 სექტემბერს ქართულ თეატრში ნ. ა. მოროზოვი წაიკითხავს ლექციას ქიმიიდან: „ფილოსოფიური ქვის ძიებაში“. ლექციაზე აჩვენებენ ბუნდოვან სურათებს და ფიზიკურ ცდას. ლექცია დაიწყება საღამოს 8 საათზე. შესვლის ფასი 50 კაპ. 2 მანეთამდე.

✦ ქართული თეატრის ადმინისტრატორათ დრამატიულმა საზოგადოებამ აირჩია ვალ. გუნია.

✦ სკოლის კურთხევა. 5 სექტ. აკურთხებენ ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლის ახალ შენობას. ხსენებულ სკოლაში წელს მიიღეს 25 ახალი მოსწავლე.

✦ ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობამ უკანასკნელ თავის კრებაზე დაავალა ბ-ნ პ. გოთუას ხელი მოაწეროს თეატრის იჯარის ხელ-შეკრულობას.

✦ დაპატიმრება. 2 სექტ. დავიდოვის ქუჩ. სადარაჯოზე მდგომ „გოროდოვოიმ“ დააპატიმრა ოსმალეთის ქვეშევრდომი მოსეს კარაპეტოვი, რომელსაც თან აღმოაჩნდა „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი და 22 პატრონა, რომლის ნებართვა მას არ ქონია. კარაპეტოვს რევოლვერი ჩამოართვეს და პასუხისგებაში აძლევენ.

✦ შეპყრობა. პოლიციამ ცნობა მიღო, რომ თფილისში დადის ვიღაც ქალი, რომელმაც მიმართა სხვადასხვა პირებს, რათა მათ ეჩვენებინათ მისთვის ისეთი ვინმე, რომელიც ფულის გულისთვის მოკლავდა ვიღაც „შაპირო“-ს, სად. ქიორდამირის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეს. ამის გამო, 2 სექტემბერს დააპატიმრეს უცნობი ქალი, რომელიც აღმოჩნდა სტაროდუბის მაზრის მცხოვრები მართა გამანოვი. ის გამოტყდა თავის განზრახვაში და განაცხადა, რომ მას უნდოდა შური ეძია „შაპიროზე“, რადგანაც მან ის გააუპატიურა და ბედის-ამარათ ულუკმაპუროთ.

✦ სანიტარული მდგომარეობა. თფილისის ქალაქის გამგეობის სანიტარული კომისია ადგენს სტატისტიკურ ცნობებს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება სანიტარულის მხრით ქალაქის თითოეული უბანი. კომისიას უკვე ხელთ აქვს მეორე და მეოთხე უბნის სტატისტიკური ცნობები, საიდანაც სჩანს, რომ მეორე უბანში მაგ. თითქმის ორი მესამედი ღარიბი მცხოვრებლებისა ცხოვრობენ სარდაფებში, რომლებიც მოკლებულნი არიან, როგორც სისუფთავეს, აგრეთვე ჰაერსაც.

✦ ცეცხლი. როგორც სად. ქვედანიდან (სამეგრელო) გვწერენ 1 სექტემბერს დღითა სადგურთან ახდა მდებარე დუქნებს ტეტხდი გასწვნია და დამწვარა 9 დუქანი. დამწვარა აგრეთვე ად. დეისაძის ორ-სართულიანი სახლი. ზარალი 15—18 ათას მანეთამდეა.

ბავშვების კერძო მომზადება.

(მშობელთა და მოსწავლეთა ყურადღებათ).

სასწავლებლებში უკვე გათავდა მისაღები ეგზამენები. როგორც ყოველთვის, წელსაც ბევრი მშობლები და მოსწავლეები დაბრუნდენ სახლში იმედგაცრუებული და თვალცრემლიანი.

სასწავლებლებში საკმაო ადგილის უქონლობა, მოსწავლეთა მოუმზადებლობა, განსაზღვრული წლოვანების გადაცილება და სხვა ასეთი მიზეზები ყოველ წლობით დიდძალ ნორჩ ახალგაზდობას ტოვებს სკოლის გარეშე. ამ გარიყულთაგან დგება, ასე ვსთქვათ, სასკოლო სათადარიგო არმია, რომლის დიდი უმეტესობა აფარებს თავს კერძო სკოლებსა და კერძო მასწავლებლებს, რომ ამათი შემწეობით ერთი წლის შემდეგ კვლავ სცადოს ბედი, კვლავ მიადგეს სასწავლების კარებს და შეეცადოს შიგ შესვლას. აქედან თავის-თავათ ცხადია, რომ კერძო სასწავლებლებს და მასწავლებლებს დიდი და საპასუხისმგებლო მოვალეობა აწევთ კისრათ. ახალგაზდობის რიგიანათ აღზრდა-გაწვრთნა ყველა კულტურული საზოგადოებისათვის უპირველეს საზრუნავს შეადგენს და ეს ასეც უნდა იყოს, **რადგან მომქმედი თაობა წარსულს და აწმყოს ეკუთვნის,** ხოლო **მოზარდი** თაობა კი მომავალს. და მომავალი კი, მოგეხსენებათ, სანეტარო და მომხიბლავია, როგორც აწმყოს გაზაფხული, ია-ვარდით შემკული, სურნელების მფშვენი, ცხოვრების განმაახლებელი, იმედებით სავსე.

კერძო სწავლება ყოველგან, ყველა ქვეყნებში დაკავშირებულია სახელმწიფო ოფიციალურ სასწავლებელთან. კერძო სკოლები მთავრობის სკოლების დამატებაა, მათი კუდია. სასკოლო რეჟიმი სახელმწიფოში ერთია და ყველა სკოლები მას ემსახურება, მისი ყურმოჭრილი ყმაა. კერძო მასწავლებლები,—ეს „ჩინოვნიკ“ მასწავლებლების, ასე ვთქვათ, თანაშემწეებია. კერძო სასწავლებლები და მასწავლებლები ამზადებენ მოსწავლეებს მთავრობის სასწავლებლებისათვის ამ უკანასკნელთა პროგრამაზე. ცხადია, აქ კერძო ინიციატივას, მის ფართო სურვილებს და ახალ მისწრაფებებს, რომლებიც შაბლონურ საზღვრებს გადადიან, ფრთები აქვთ შეკვეცილი, წინდაწინვე გზა აქვთ მოჭრილი. საზოგადოთ, გაბატონებული რეჟიმი კერძო დაწესებულებათა თუ პირთა თავისებურობას, ინდივიდუალობას ლაღას უსვამს, ასწორებს და არსებული რეჟიმის კალაპოტში აგდებს. აქედან ცხადია, რომ კერძო სწავლების საქმე სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა გვარათ არის დაყენებული, მაგალითათ, რესპუბლიკანურ ქვეყნებში სკოლა რესპუბლიკის და მისი ტრადიციების მსახურია, დესპოტიაში დესპოტიურ ნიადაგზე დგას, ხოლო ისეთ სახელმწიფოში, როგორიც რუსეთია, რომელსაც უწოდებენ „თვითმპყრობელობითი—კონსტიტუციურს“, სკოლებიც ასეთი რეჟიმის შესაფერია. და ასეთ გაჯახირებულ რეჟიმში, რა თქმა უნდა, კერძო სასწავლებლები და მასწავლებლებიც დიდ სიძნელესა და უხერხულობას განიცდიან.

მარა საზოგადო სიძნელეს ჩვენში ზედ დაერთო კიდევ სხვა არაპირდაპირი პირობები, რომელთა მეოხებით კერძო სწავლების საქმე ამ ბოლო დროს სულ გაფუჭდა და დღეს სიგლახე-უვარგისობის მაქსიმუმამდე ავიდა. მე აქ მოკლე წერილში არ შევეხები ნებადართულ კერძო სასწავლებლების ნაკლ-ღირსებას და მოკლეთ მოვიხსენიებ მხოლოდ კერძო მასწავლებელთა უმეტესობის „მოღვაწეობას“.

მოგეხსენებათ, რეაქციის მუხრუჭმა საზოგადოების საარსებო წყარო შეუბრალებლათ დასწურა და აუარებელი ხალხი ქუჩაში გამოისროლა. ქუჩა კი პურის მაგიერ ქვას იძლევა, რასაც კუჭი ვერ ინელებს. აქ ქუჩაში წყდება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, რაც ყველას თავისი მიდრეკილებისა და ნიჭის შესაფერ გზას უჩვენებს. ერთს ჯიბგირობის ნიჭი შეწევს და შიმშილით სიკვდილს, რა თქმა უნდა, არჩევს ამ ხელობით სიცოცხლე შეინარჩუნოს; მეორე შანტაჟისტობას კიდებს ხელს, ხოლო მესამეს კი ცოტაოდენი მომზადება ხელს უწყობს, რომ კერძო მასწავლებლობით ირჩინოს თავი. და აი, კერძო მასწავლებელთა წრეს ემატებიან, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ძალათ მასწავლებლები, რომელთა თავისი დაბალ-ხარისხოვანი კონკურენციით დეზორგანიზაცია შეაქვთ კერძო სწავლების საქმეში. მასწავლებელთა დიდი უმეტესობა ემბმება საზოგადო ფერხულში, ცვლის დროს შესაფერათ თავისი მოქმედების ტაქტიკას, ირეცხავს შუბლს და ადგება მოტყუილების გზას...

ასეთ „მასწავლებლებს“ დღეს ყველგან დიდ ქალაქებში გაბმული აქვთ ობობას ქსელები, რომლებშიაც აბამენ გულუბრყვილო მშობლებსა და მათ შვილებს. ეს „მასწავლებლები“ ფიანდაზათ ეგებიან თავის „მუშტრებს“, მოქარგული ენით და მრავალი დაპირებით ასაღებენ თავის დამპალ საქონელს. ასე, სწავლა-აღზრდის საქმე დღეს უბრალო დაბალ-ხარისხოვან ვაჭრობათ არის გადაქცეული, რისაც დამღუპველი გავლენა აქვს ახალგაზდობის გონებრივ-ზნეობრივ განვითარებაზე.

თავისი გონებრივ-ზნეობრივი ავლადიდების მიხედვით კერძო მასწავლებლები შეიძლება გავყოთ სამ კატეგორიათ: 1) თავისი ხელობის კარგათ მცოდნე, მარა უპრინციპონი; 2) თავის ხელობის არ მცოდნე, მოუმზადებელი და უმეცარი, პირები, რომელთაც, რა თქმა უნდა, არც პრინციპისა და ზნეობის სცხიათ რა და 3) მცოდნე და უმწიკვლო მასწავლებლები, რომელთა რიცხვი, სამწუხაროთ, ძლიერ მცირეა.

რა ნაკლი აქვს პირველი ორი კატეგორიის „მასწავლებელთა“ სწავლება-მომზადებას?

პირველი ჯგუფის „მასწავლებლები“ უმეტეს ნაწილათ ადგენენ მოსწავლეთა ჯგუფებს, ვთქვათ მაგალითაც, გიმნაზიის მეშვიდე კლასისთვის მოსამზადებლათ. ისეთი ჯგუფის შედგენა, რომელშიაც ყველა მოსწავლე დაახლოებით ერთნაირი იყოს, საგნების ცოდნით ერთმანეთს უდრიდენ, ადვილი საქმე არაა, არ ხერხდება. ამიტომ ჯგუფში იღებენ ცოდნის სულ სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ახალგაზდებს, მაგალითათ, გიმნაზიის მესამე-მეოთხე კლასიდან გამოსულებს, „გოროდისტებს“, შინაურულათ მომზადებულებს და გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის მეხუთე-მეექვსე კლასის მცოდნეებს. რა თქმა უნდა, ყველას იმედს აძლევენ, რომ ჩინებულათ მოემზადებიან და თავის მიზანს მიაღწევენ და სხვა. ამნაირათ, მოუყრიან თავს ასეთ ბაბილონის გოდოლს და დაუწყებენ სწავლებას ლექციური მეთოდით, ესე იგი, მასწავლებელი ახსნის, მოსწავლეები ყურს დაუგდებენ, მოარჩა და გათავდა. სხვა არც გაკვეთილის კითხვა, არც განმეორებითი ახსნა, როცა ეს საჭიროა. ცხადია, ასეთი სწავლებით ჯგუფის ცხრა მეათედი ვერაფერს შეისმენს, მარა, ამას გვიან, წლის ბოლოს, გაიგებს...

თუ ჯგუფი არ შედგა, მაშინ თითოოობითაც ამზადებენ მოსწავლეებს ეს ახალმოდის „მოღვაწეები“, მარა აქ კიდევ უფრო ზარალობს მოსწავლე. ვთქვათ, ერთ მოსწავლეს უნდა მომზადება გიმნაზიის მეხუთე კლასისათვის, მეორეს მიწის-მზომელთა სასწავლებელში უნდა შესვლა, მესამე სახალხო სკოლის მასწავლებელათ ემზადება და სხვა. ამ შემთხვევაში თითოეულს მოსწავლეს ცალკე, თავის პროგრამაზე უნდა სწავლება და ამასთან თითოეულს დღეში სამი-ოთხი საათი მოუნდება რომ მართლა მოემზადოს და მშრალზე არ დარჩეს. მარა განა წარმოსადგენია, რომ სამ მოსწავლეს მასწავლებელმა 10—12 საათს მოუჯდეს და შრომის ფასათ თვეში მხოლოდ სამი-ოთხი თუმანი აიღოს? არა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ფიზიკურათაც შეუძლებელია. მაშ რა? ისა, რომ თითო მოსწავლეს უნდა დაჯეროს დღეში თითო საათის მაცადინობა, რაც, ცხადია, არაა საკმარისი.

თუ კი ამ კატეგორიის მასწავლებლებთან ასე ცუდათ არის საქმე დაყენებული, ადვილი წარმოსადგენია, თუ რაღა უნდა იყოს იმ მეორე კატეგორიის „მასწავლებლებთან“, რომელთაც არც შესაფერი ცოდნა აქვთ და არც ზნეობა. ამათ ხელში სწავლება უბრალო პროფანაციათ არის ქცეული, რის მსხვერპლნი ყველგან ბლომათ მოიპოვებიან.

ამ სტრიქონების დამწერი იცნობს ისეთ „მასწავლებელს“, რომელსაც ლათინური ენა არასოდეს არ უსწავლია, რადგან ის სასწავლებელში სულაც არ ყოფილა, თავის თავათ მხოლოდ ასოები შეუსწავლია და ასეთი ცოდნით მოსწავლეს ამზადებს გიმნაზიის მეხუთე კლასისათვის. სასაცილო საყურებელია, სამწუხარო რომ არ იყოს, როცა ამ „მეცნიერის“ მოსწავლეს ლათინურის კითხვის დროს ყურს დაუგდებ. ვიცი ისეთი „მასწავლებელიც“, რომელიც არა თუ თვითონ ვერ აკეთებს არითმეტიკულ ამოცანებს, არამედ, ახსნილ-გაკეთებულსაც ვერ გებულობს და იძულებულია მოსწავლეების ნიჭზე დაამყაროს თავისი იმედი. ვიცნობ ისეთ სტუდენტსაც, რომელიც „მათემატიკის სპეციალისტათ“ აცხადებს თავს გაზეთებში, ხოლო გიმნაზიის მესამე კურსიდან ამოცანებს ვერ აკეთებს. ვიცი ისეთიც, რომელსაც უვიცობასთან ერთათ ნაღუბას სიყვარულიც თან აქვს დაყოლილი, რის მეოხებითაც მისი მოსწავლეები თითო კვირაობით უსაქმოთ რჩებიან, რადგან „მასწავლებელი“ ბაღებში ქეიფობას ეწევა... ვიცი, კიდევ ვიცი მარა, კმარა, რადგან მე რამდენიც უნდა დავასახელო, ეს მაინც წვეთი იქნება ზღვაში.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ასეთ მასწავლებლებს მუშაობა არ ექნებათო. შემცდარი აზრი იქნება. ესენი თვეში, ცოტა რომ ვთქვათ, 150—200 მანეთს იღებენ. პირიქით, მუშაობა არ აქვთ ნამდვილ, პატიოსან მასწავლებლებს. ეს ადვილი ასახსნელიკაა.

უპრინციპო და უვიც „მასწავლებლებს“ ყოველგან ქსელები აქვთ გაბმული, ყოველგან თავისი „აგენტები“ ყავთ დაყენებული, რომლებიც სანთლით ეძებდა მოსამზადებლებს და ძალათ მიაორევენ თავის პრინციპალთან. ეს „მასწავლებლები“ უკან არ იხევენ არავითარი ხრიკისა და უპატიოსნების წინაშე, ტყავიდან ძვრებიან, რომ „მუშტარი ხელიდან არ გაუშვან და სხვა. პატიოსანი ადამიანი კი, რა თქმა უნდა, ამისთანა რამეს არ იკადრებს და მით დამარცხებულიც რჩება. უკულუტურო უვიც მშობლებსაც უფრო მოსწონთ ენა-წყლიანი, გაქნილი „მასწავლებლები“ და ად-

ვილათაც ხვდებიან მათ მიერ გადგმულ ქსელებს. როცა ერთ წყებას გაუცრუვდება იმედი და ლანძღვა-გინებით გარბის ამ მატყუარებისაგან, მაშინ სხვა ასალი წყება მიდის. ქალაქი დიდია და ვინ რას გაიგებს მით საგმირო საქმეებს. ასე, მგონსნის თქმისა არ იყოს „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.“

ყოველივე ზემოთქმულიდან გონიერი მშობლები და მოზრდილი მოსწავლეები უნდა დარწმუნდენ, რომ ყველა მასწავლებელი სანდო არაა, რომ კარგი მასწავლებლის შოვნა ჩვენს დროში ადვილი საქმე არაა.

ვინც ამაში დარწმუნდება, ცხადია, ის აღარ ენდობა იმ ცრუ-მასწავლებელთა განცხადებებს, რომლებიც წერილობითი პირობას იძლევიან, ქრთამების საშვალებით მოქმედებენ, ხუთი-ექვსი წლის სასწავლი მასალის შესწავლა-შეთვისებას ვითომ ორი-სამი თვის განმავლობაში ახერხებენ და სხვა.

თავისთავათ ცხადია, რომ ამ მატყუარა მასწავლებლების წინააღმდეგ საჭიროა საზოგადოებამ აღიმაღლოს თავისი ძლიერი ხმა და შეაკადოს ასეთი სამწუხარო მოვლენის აღმოფხვრას ისე, როგორც სხვა გვარი შანტაჟის აღმოფხვრას ცდილობს. უნდა გვახსოვდეს, რომ უბრალო შანტაჟი იმდენ ვნებას ვერ მოიტანს, რამდენსაც მოზარდი თაობის გონებრივი-ზნეობრივი დამახინჯება.

ჯალარა.

წყლის-საყვანი ქუთაისში

III.

(დასასრული).

ამ მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ ადვილი გასაგებია ის ერთსულოვანი და სწრაფი გადაწყვეტილება, რომელიც ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ მიიღო ამ ცოტა ხნის წინათ წყლის-საყვანის გაკეთების შესახებ. ეხლა მხოლოდ ერთმა ხმოსანმა გამოსთქვა ის აზრი, რომ წყლის-საყვანის ოჯახურის წესით გაკეთება უფრო ხელსაყრელი იქნება ქალაქისთვისო. თუ კონცესიონერი იღებს ამ საქმეს, მხოლოდ და მხოლოდ მოგებისთვის, სხვა მიზანი მას არა აქვს. მაშასადამე, ეს საქმე მოსაგებია და არა წასაგები და თუ ეს ასეა, რატომ ეს მოგება ჩვენ კი არ უნდა გვერგოს და ვიღაც კონცესიონერის ჯიბეში ჩავიდესო. მართალია, ჩვენ ქალაქს საშუალება არა აქვს ასეთი დიდი შენობის გასაკეთებლათ, მაგრამ მას დიდი ხანი აქვს ობლიგაციონური სესხის გამოშვების უფლება. რეალიზაცია ვუყოთ ამ 300,000 მანეთიან სესხს და ეს თანხა სრულიად საკმარისი იქნება წყლის-საყვანის გასაკეთებლათო.

ხმოსნების უმრავლესობა კი სულ სხვანაირათ სჯიდა. მართალია, ეს საქმე მოსაგებია, მაგრამ მისი გაკეთება ქალაქს ბევრათ უფრო ძვირათ დაუჯდება, ვიდრე კონცესიონერსო; ჩვენ ეს გამოცდილებით ვიცითო. მაგალითათ, ქარხნები, საიდანაც მასალა უნდა შეძენილ იქნას, კონცესიონერს მეტი შეღავათით მოეპყრობიან; კონცესიონერს საქონელსაც უფრო იაფათ დაუთმობენ და ფულის გადახდის ვადასაც მეტს მისცემენ, ვიდრე ქალაქსო. ესეც არ იყოს, ჩვენ კაცები არა გვყავს, რომ ამ საქმეს გაუძღვესო. ამიტომ ეს მოსაგები საქმე ჩვენ ხელში საზარალო გახდება და უკეთესი იქნება, კონცესიონერს მივცეთ წყლის-საყვანის გაკეთებაო. ეს მწარე გამოცდილებაზე აგებული აზრი ყველას ჭკუაში დაუჯდა და ერთხმათ გადაწყდა, წყლის საყვანის გაკეთება კონცესიით გაიცესო.

გარდა ამისა, ამ სხდომაზე თითქმის ყველა ხმოსნები რიონის წყლის გამოყვანის მომხრე აღმოჩნდენ. ამ აზრს წინააღუდგა მხოლოდ ერთი, ექიმი ნაზაროვი. მე წინათაც მუდამ ვამბობდი და ეხლაც ვამბობ, რომ წყაროს წყალი გამოვიყვანოთ მცხოვრებლებისთვის. ფაცრის წყალი და ღრუდო იძლევიან იდეალურ წყალს და რაოდენობითაც სრულიად საკმაო არიან ჩვენი ქალაქისთვის. ვხედავ, რომ თქვენ ყველა წინააღმდეგი ხართ ჩემი აზრის და თქვენ გადაწყვეტილებასაც ამ საგნის შესახებ არ შესცვლით, მაგრამ მე მაინც მოვითხოვ, ნუ სჩადიხართ ისტორიულ შეცდომას, ნუ ამჯობინებთ ტალახა რიონს ანკარა წყაროს და ამით ვასრულებ ჩემ მოვალეობას შთამომავლობის წინაშეო. ეს სიტყვები არა თუ გონიერს, აბა რომელ უგუნურს არ დააფიქრებდენ? ამიტომაც ბევრი ბჭობის შემდეგ საბჭომ დაადგინა: სანამ საბოლოოთ რიონის წყლის გამოყვანას გადავწყვეტდეთ, დაევალოთ ჩვენ კონცესიონერებს, ერთხელ კიდევ დაუკვირდენ ფაცრის წყალს და გორუდოს. თუ ისინი უკეთეს წყალს მოგვცემენ რიონზე და საკმაოც იქნება ჩვენი წყლისსაყვანისთვის, მაშინ ეს წყაროები გამოვიყვანოთ. თუ რიონის წყლის ვედროში ერთი მეხუთედი კაპეიკი გადახდება მცხოვრებელს, წყაროს წყლისთვის ვედროში ერთი მეოთხედი კაპეიკი გადახდესო.

როდესაც ქალაქის გამგეობამ კონცესიონერთან მოლაპარაკება გამართა, საამშენებლო, საფინანსო და სანიტარული კომისიების შეერთებულმა სხდომამ თავის შორის რამდენიმე პირი აირჩია და დაავალა ინჟენერ კანცელთან, ცეიტლინთან და მიხაილოვთან ერთათ ადგილობრივ შეემოწმებიათ ფაცრის წყალი და ღრუდო, იკმარებდა ეს ორი წყაროა ქუთაისისთვის თუ არა და რამდენათაც შესაძლებელი იქნებოდა აეწონ-დაეწონათ წყლის თვისებაც. ამ წლის 30 ივლისს ეს პირები შეიკრიბენ კიდეც ფაცრის წყალთან, რომელიც მდებარეობს 11 ვერსის მანძილზე ქუთაისიდან აღმოსავლეთ-სამხრეთით. ეს წყალი გამოდის მიწიდან და ზევიდან კი ლამაზ თაღათ გადაფარებული აქვს პრტყელი ნაკეცი კლდისა, რომელიც საკირე ქვისაგან შესდგება. თუმცა ძლიერ გვალვები იყო, მაგრამ წყალი მაინც ცოტა ღვრია იყო. წვიმების დროს კი რიონზე მეტათ იმღვრევა თურმე ეს წყალი, როგორც ერთხმათ მოწმობენ მახლობელ სოფელში მცხოვრები პირები. აქედან ნახევარი ვერსის მოშორებით აღმოსავლეთით ჩამოდის მდ. ჭიშურა ამ ორ წყალს შუა ვაკე ადგილია. გასაკვირველი იყო ის, რომ შესახედავათ ჭიშურის წყალი უფრო სუფთა სჩანდა. ამ ადგილას ჭიშუარს ორივე ნაპირებზე აქვს ნახევარი თვალის მზგავსი კლდის კედლები, რომლების შუაც თვალწარმტაცათ მისრიალებს ანკარა ცისფერი გამომკრთობი წყალი. აქ ზოგ ადგილას დემონსტრატიულათ სჩანს ის დარანები და ღარები, რომლებიც ამ კედლის ნაკეცებს შუა ჩაწოლილან. როცა ამათ ხედავ, მაშინვე თავში ის მოგდის, რომ ჭიშურას წყალი სწორეთ ამ ნაპრალებს მიყვება და ზევით დაბლობზე ფაცრის-წყალის სახელით გამოდისო. ექსპერტებმა საგანგებოთ დამზადებულ ბოთლებში ჩაასხეს: ერთში ჭიშაურის წყალი, მეორეში ფაცრის წყალი და შეადარეს ერთი მეორეს. აღმოჩნდა ყველაზე უფრო სუფთა და გამსჭვირვალე რიონის წყალი, შემდეგ ჭიშაურის წყალი და ყველაზე ღვრია კი ფაცრის წყალი.

წყლის-საყვანის გაკეთების დროს წყლის თვისებებზე უფრო მხედველობაში მისაღებია გამოსაყვანი წყლის რაოდენობა. ამ კითხვაში არა თუ ჩვენ, იმისთანა კულტურული ცენტრიც კი მოსტყუვდა, როგორიცაა ქალაქი ვენა. ჯერ ვენაში შორეული წყაროს წყალი გამოიყვანეს, მაგრამ მალე ის საკმაო არ შეიქნა. მაშინ ქალაქმა მეორე წყლის-საყვანი გააკეთა მდინარე დუნაიდან. თფილისმა ავჭალის წყაროებიდან გამართა წყლის-საყვანი, მაგრამ ამ წყაროების დებიტი ირყევა 250,000-დან 600,000 ვედრომდე დღე და ღამეში. ამიტომ სიცხეების და გვალვების დროს, როდესაც სხვა დროზე მეტი წყალია საჭირო, ეს წყაროები საყოფ წყალს ვერ იძლევიან და თფილისი იძულებული გახდა მშვენიერ წყაროს წყალში მტკვრის წყალი შეერია. საზოგადოთ, ზაფხულობით წყაროები ძლიერ კლებულობენ და წყლის სიცოტავესაც ამ დროს მეტი სიმწვავით გრძნობენ მცხოვრებლები. როდესაც „ნოვოე ობოზრენიე“ აუმხედრდა კონცესიონერ განნემანს, რიონის წყალი რათ გამოგყავს, როდესაც წყაროები უთვალავია ქუთაისის გარეშემო, განემანმა ქალაქის გამგეობას სწორეთ წყაროების დებიტის ცვალებადობაზე მიუთითა და მაგალითად მოიყვანა ბათუმი. შეიძლება აგრეთვე ორი წყლის საყვანის გაკეთება: ერთით წყაროსი და მეორით მდინარის წყლის გამოყვანა. ამასთან, წყაროს წყალს ხმარობენ სასმელათ და საუმელისთვის, მდინარის წყალს კი საოჯახო და საზოგადო მოთხოვნილებისათვის. ამ შემთხვევაში სახლებში გაყავთ მდინარის წყალი და წყაროს წყალს კი აუზებში იკავებენ მოედნებზე და ქუჩებზე. შენიშნულიაო ამბობს გამოჩენილი ჰიგიენისტი ერისმანი, რომ მცხოვრებლები ყველანაირ საჭიროებისთვის იმ წყალს ხმარობენ, რომელიც სახლებშია გაყვანილიო, ამავე დროს საუკეთესო წყაროს წყალი აუზებში ზედმეტი ბარგი ხდებაო.

როდესაც სადმე წყლის საყვანს აკეთებენ, წყლის რაოდენობა უნდა ვიანგარიშოთ 12 ვედრო თითოეულ კაცზე, თუ მხედველობაში ვიქონიებთ მცხოვრებლების რიცხვის თანდათანობითი ზრდას. წყალი ხომ მარტო სასმელ-საუმელისთვის არ გვჭირდება.

თუ პროფესორ ერისმანის თვალსაზომის მხრივ შევხედავთ ფაცრის-წყალს, ის არა თუ შემდეგ, ახლაც არ კმარა. ქუთაისში 50,000-მდე სული ითვლება. ჯერ ათი ვედრო წყალიც რომ ვიანგარიშოთ სულზე, 500,000 ვედრო იქნება საჭირო. ფაცრის წყალის დებიტი კი 220,000 ვედროა დღე და ღამეში. ასე რომ, არც თვისებით, არც რაოდენობით ფაცრის წყალი იმისთანას არაფერს წარმოადგენს, რომ მომავალმა თაობამ არ გვაპატიოს მისი განზე დატოვება და რიონის წყლის გამოყვანა. ვიტყვი მეტსაც. მომავალი თაობა არ გვაპატივებდა თერთმეტი ვერსის სიშორიდან ღვრია ფაცრის-წყალის გამოყვანას, როდესაც შუაგულ ქალაქში ჩამოგვიდის იმისთანა კარგი თვისების წყალი, როგორიცაა რიონი. ფილტრებში გატარებული რიონის წყალი კარგი გემოსიცაა და სასიამოვნო შესახედიც. ესაა ფაცრის-წყალის ტემპერატურა სიცხეების დროს 12 გრადუსია რეომიურით, რიონის წყალი კი შედარებით უფრო თფილია, მაგრამ როდესაც ეს უკანასკნელი მიწაში ჩაფლულ მილებში გაივლნს იმდენათ გაცივდება, რომ ფაცრის წყალზე თბილი მაინც არ იქნება.

როდესაც ექსპერტები დაბრუნდენ ფაცრის-წყალის და ღრუდის შემოწმების შემდეგ, პირდაპირ ქალაქის გამგეობის დარბაზში მივიდენ და სხდომა გამართეს. ყველა ექსპერტები იმ აზრის იყვენ, რომ ფაცრის-წყალის გამოყვანაზე ლაპარაკიც არ შეიძლებაო. ფაცრის წყალი ანუ იგივე მდინარე ჭიშურა არ გამოვიყვანოთ იმ სიშორიდან, რიონი ცხვირ-წინ არ ჩაგვიდისო და სხდომა შეუდგა კონცესიონერების პირობების განხილვას.

9 აგვისტოს საბჭომ 29 ხმის უმეტესობით 1 ხმის წინააღმდეგ კონცესია წყლის-საყვანის გაკეთების შესახებ მისცა ინჟ. თ. დადიანს და ბ. კანცელს ორი სხვა წინადადება, სახელდობრ, გრაფი დრაგოიევსკისა და მეორეც ინჟ. შაფისა საბჭომ უარყო. სანამ ძალაში შევიდოდეს, საბჭოს გადაწყვეტილებამ ჯერ კიდევ ბევრი პროცედურები უნდა გაიაროს. ვუსურვოთ ქალაქის თვითმართველობას, ამდენი ტანჯვით და შრომით მოგვარებული საქმე არ ჩაშლოდეს რაიმე წვრილმანი ინტრიგების გამო, რის ნიშნებიც აშკარათ გამოკრთოდენ ზოგი ვაჟ-ბატონის ქცევიდან საბჭოს ბოლონდელ სხდომაზე. ქალაქის თვითმართველობას სურდა თვით ყოფილიყო საქმის ბატონ-პატრონი, მარა რადგანაც ამის უნარი არ შესწევთ, ის კონცესიონერების კაბალას დაუმორჩილეს და მთელი 35 წლის განმავლობაში მათ ხელში იქნება.

გრ. ნასარიძე.

სახალხო ჩარმოდგენების გამმართველ სექციის რეორგანიზაციის შესახებ.

(ქ-ნ ს. რომანიშვილის პასუხათ).

როდესაც სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის და სექციის შეერთებულს სხდომაზედ მე ვუამბე დამსწრეთ ტოტს უფრო ვრცლათ ის, რაც ჩემს წერილში (იხ. „ჩანგი“, № 42) მქონდა მოხსენებული, მაშინ თქვენ ჩემსა და სვირელის საპასუხოთ, რამდენათაც მახსოვს, მხოლოდ ერთი ეურადღების დირსი ტუალი სთქვით. ისიც არ გინდოდათ, გეთქვათ, მაგრამ კარემოებამ გაიძულათ. ეს ტუალი შეეხებოდა ჩვენს (ჩემი და სვირელის) ანტი-დემოკრატობას*) გამგეობის წევრმა ბ-ნმა ჭიჭინაძემ თქვენი სადაბრაკვიდან ის დასკვნა გამოიყვანა, ვითომც მე და სვირელი სექციის რეორგანიზაციის კითხვაში ანტი-დემოკრატიულ ნიადაგზე ვიდექით. ამის შესახებ თქვენ რამდენჯერმე შეგეკითხენ, გარკვევით გეთქვათ თქვენი აზრი. თქვენ ბირგვლში ეოუმანობდით და რამდენჯერმე უპასუხეთ: „არ ვიცი, ზოგ მუშებს ითხოვდენ, ზოგს კიდევ იწვევდენ. რათ იქცეოდენ ასე, ჩემთვის გაუგებარი იეოდა. სხდომის დასასრულ კი ადბათ, გადმოვიდა თქვენზე ზეციერი შთაგონება, მიხვდით რომ ამ ნიადაგზედ ბრძოლა თქვენთვის ხელსაყრელი იქნებოდა და ხმის ამაღლებით გინცხადეთ: „კატეგორიულათ ვაცხადებ, რომ ესენი ანტი-დემოკრატიულს ნიადაგზედ იდგენო“. რაცა თქვენ ეს სიტუვები სთქვით, ცოტა არ იეოს, უხერხულობა გეშინოდათ. ადბათ, გრძნობდით რომ კატეგორიულათ ადასტურებდით მას, რც თქვენ თვითონ არ გჯერდათ.

სავგირველი უფრო ის არის, რომ ამახინჯებთ და თხზავთ ისეთ ფაქტებს, რომლებიც არც თქვენ სექციას ამართლებენ, არც თქვენს მოწინააღმდეგეს სცხებენ ჩიჩქს.

თქვენ კარგათ იცით, მაგალითად, რომ ბირველათ რეორგანიზაციის შესახებ კითხვა მე ადგარი ბირველ აბრიდს (რიცხვი, შეიძლება, არ გახსოვდეთ) სექციის სხდომაზედ, რომელიც სახალხო სახლის კალერეის ფოიეში მოხდა. ჩემს წინააღმდეგ იდგა ბატონი, მაშინ მხოლოდ სვირელმა, რომლის წინადადებით კითხვა დროებით მოიხსნა საკაზუხულო სეზონის გათავებამდის. კარგათ იცით აგრეთვე, რომ 13 აბრიდს საარბიტრაჟო კომისიის სხდომის შემდეგ, ადგარი დაბარაკი სექციის რეორგანიზაციის შესახებ. სექციის წევრთაგან მხოლოდ ჩვენ სამნი ვიუავით. სვირელი მაშინაც ნაადრევათ სთვლიდა რეორგანიზაციაზე დაბარაკს. თქვენ კი ჩემს წინააღმდეგ კრინტიც არ დაგიძრავთ, ბირიქით, თქვენ აიდეთ ქალალი და კარანდაში, ჩაბოსწერეთ სექციის წევრების გვარები და შემდეგ თქვენვე ამოშალდეთ შვიდი წევრი, ამოშალდეთ უკამათოთ ი. დურგლიშვილი და ვ. რაქვიაშვილი, რომლებიც შემდეგ საარეორგანიზაციო კომისიაში იეკვნ არჩეულნი თქვენის მეცადინეობით. ამ მეამოხვევაში თქვენ მოქმედობდით სრულიად დამოუკიდებლათ, თქვენ თვის ძალა არავის დაუტანებია ესა და ეს წევრი ამოშალეო, არც ჩემი გაგლენის ქვეშ ეოფილხართ, რეგორც ეს შეერთებულ კრებაზე განცხადეთ, ბირიქით, მე წინააღმდეგი ვიუავ ერთი სტენის მოუვარის გამორიცხვის, მაგრამ თქვენ ჩემი სურვილის წინააღმდეგ სიტალეთ, მარდათ გაუსვეთ ხაზი ამ.ს გვარს. თუ თქვენ ჩემს გაგლენის ქვეშ იეავით, რადა აქ გამოიჩინეთ დამოუკიდებლობა. არა, სხვების შესახებ ჩვენ ერთმანეთს ვეთანხმებოდით. აქ კი თქვენი სურვილის თანახმათ მოიქეცით, თქვენ იცით აგრეთვე, რომ მე მიგიწვიეთ რეორგანიზაციის შესახებ მოსაბაბარაკებლათ ივნისის ბირველ რიცხვებში რეპეტიციის დროს სახალხო სახლის სარეკვიზიტო ოთახში. ეს ეველაფერი იცით და მაინც ამბობთ: „რეორგანიზაციის შესახებ აზრი ბირველათ გამიზიარა ბ. სვირელმა, ინიციატივა კი თურმე ტოროშელიძეს ეკუთვნის“. ამ ფაქტს, თუ ვინ იეო საქმის ინიციატორი, ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მით უფრო საკვირველია, რისთვის შეთხზეთ ეს ცნობა, რადგანაც კარგათ უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენ სამში მხოლოდ სვირელი იეო რეორგანიზაციის წინააღმდეგი.

„სიმართლეს მოკლებულია“, ამბობთ: „ვითომ ზოგიერთ წევრს რომელიმე შემთხვევაში ამისა მიხედვით, თუ ვინ დასასხელა ბიესა“. თქვენ ძალიან კარგათ იცით, რომ ეს სშირი მოვლენა იეო და სხვანაირათ არც შეიძლებოდა ეოფილიეო. ი ამისი მაგალითიც: სექციამ აირჩია სუხოვო კობიდინის ბიესა: „კრეზინსკის ქორწინება“. სექციის წევრმა ვ. რაქვიაშვილმა (შემდეგ საარეორგანიზაციო კომისიის წევრმა) რიდი მიუტანა ნ. გოცირიძეს (მაშინ სექციის წევრი არ იეო). უკანასკნელმა კითხა ვ. რაქვიაშვილს: „ამ ბიესას რომ ირჩევდით, რას ფიქრობდითო? „მე რა ვიცი, იეო პასუხი: ს. ტ—ძემ ხელი ასწია და მეც ავწიეო“. საორგანიზაციო კომისიის მეორე წევრმა ი. დურგლიშვილმა განცხადა (შეერთებულს კრებაზე უარეო არ მითქვამსო, მაგრამ კრების შემდეგ ისევ იცნო შემდეგი სიტუვები თავგალ ნათქვამთ): „ბიესას არჩევის დროს მე თქვენ გიეურებთ, ასწევთ ხელს, ავწევ, არ ასწევთ და არ ავწევო.“

ხ. ტოროშელიძე.

(შემდეგი იქნება)

*) შემდეგ კერძო ლაპარაკში სექციის ერთ წევრთან, რომელიც ზემოაღნიშნულს კრებას არ დასწრებია, თქვენ განაცხადეთ, რომ თქვენ ფიქრათაც არ მოგსვლიათ ჩემთვის და სვირელისათვის ანტი-დემოკრატობა გეკიჟინებინათ, რომ ეგ დასკვნა, არ იცით რა ნაირათ გამოიყვანა ექ. ჭიჭინაძემ თქვენი სიტყვებიდან. თქვენს წერილში კი ისევ უბრუნდებით ჩვენს ანტი-დემოკრატობას, ალბათ იმისდა მიხედვით, თუ როგორი აუდიტორია გყავთ. ხ. ტ.

პროვინციის ქრონიკა

ს. დიღომი. ისეთ უსუფთაო სოფელს რეგორც დიდომია, ეეგეთად უნახავებით. მთელი სოფელი სიგიაში და ნეხვშია ნაფლეული. ამ ბოდო დროს ძალიან გახმიდა სხვა და სხვა გვარი კადმადები ავითმეოფობა. წიოელა, მოარული და ხველა-ყვავიდი მუსრს ავლებს ბავშვებს. არც ექიმი, არც ფერშალი არ არის. არც ვინმე იტკივებს თავს მათ მოწყვეტაზე. დიდომში 700 კომლამდე მცხოვრებია. სოფელი არც ისე დარიბია და მიუხედავათ იმისა ქალაქთან ასე ახლო არის მაინც ვერ შეუგნიათ იმდენი რომ ექიმი და ფერშალი მოიწვიონ და მათი დახმარებით რამდენიმეთ მაინც შეასუსტონ ამ კადმადები სენის სამწუხარო შედეგები.

ანკარა.

ყარსი. დადგა თუ არა აგვისტო, საგრძნობლათ აცივდა და თან გამუდმებული წვიმები დაიწყო. ოო სამჯერ სეტყვაც კი მოვიდა. წელს ბურის მოსავალი კარგი იეო, მაგრამ თუ ასე იწვიმა გასადწო ბური სულ დადგება. აქ უმეტესობა ქალაქში ცხოვრობენ, მაგრამ კულტურის ნიშან-წყალი არ ეტეობათ. ხე-ტუე აქ სრულებით არ არის, ამიტომ შეშის ნაცვლათ საქონლის ბატიგს ხმარობენ. სწავლა-განათლების მხრით ძალიან დაქვეითებული არიან, ეს არ შეიძლება მარტო სიღარიბეს მივაწეროთ. აქაური ინტელიგენცია ბიდიარდის, ნარდის და კარტის თამაშობაში ატარებს მთელ დღეებს, მთელ თავიანთ სიცოცხლეს.

— გასულ კვირაში აქ დიდძალი სათადარიგო ჯარის კაცები ჩამოიეანეს, რიცხვით 80 ათასი ჯარის კაცი.

— აქაური მუშების მდგომარეობა მეტათ ცუდია. წარმოების რომელი დარგიც უნდა აიღოთ, ეველგან ერთი და იგივე აუტანელი ბირობებია. აქ სამუშაოდ დრო არავითარი ნორმა არ არსებობს და ამუშავებენ იმდენს, რამდენიც ხაზეინებს სურთ. ან კი რა ენაღვლებათ, როცა ხმის ამოღება არავინ არის.

ერ. შ—ლი.

რედაქტორ-გამომცემელი

ნ. მელიქ-შახნაზარიანცი.

განცხადება

ახლად გაიხსნა საწყობი

ᲒᲣᲠᲘᲐ

გურული ნაწარმოებისა. იყიდება: ღომი, ფქვილი (სიმინდისა), ყველი —სურგუნი (გადაზელილი) თხილი და სხვა.

ადრესი: სალდათის ბაზარი—ყოფილი სემინარიის გვერდით № 6.

3—2

ᲔᲥᲘᲛᲐ

ᲐᲠᲓᲐᲖᲘᲐᲜᲛᲐ

განაახლა ავათმყოფების მიღება. დროებით მე-2 თუმანოვის ქუჩა № 27. დილის 8—9 ნახ. საათ. და საღამოს 4—9 საათამდის.

გამოცდილი მასწავლებლები

(მონაწილეობას ღებულობენ მასწავ. ქალებიც, მცოდნე ზედმიწევნით უცხო ენებისა).

ამზადებენ **ქალ-ვაჟთ,** ყველა **დაბალ** და **საშუალო** სასწავლებლებისათვის: **სამოქალაქო** სასწ., **ხასულიერო, საფერშლო, ტეხნიკის, რეალურ, საქალებო** და **საგაჟო გიმნაზიის, სამასწავლებლო სემინარიისთვის.** ამზადებენ **ოოფლის ერთ და ორ კლასიან მასწავლ.,** როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, **ყველა ხარისხჩინზე.**

აგრეთვე ღებულობენ მოსწავლე ვაჟებს და ქალებს, რომლებმაც **ანბანი** სრულებით **არ** იციან.

მსურველთ იყვანენ მთელ ხარჯზედაც.

თვიურათ ფასი 5 მ.—20 მ.-დე, **იყვანენ პირობითაც.**

ამ ეზოშივე გამოცდილი **მკერავი** ქალი ღებულობს და კერავს **ზაკაზებს ხელმისაწდომ ფასებში, იყვანს მოსწავლე ქალებს.**

ადრესი: ავჭალის ქუჩა, სახლი № 133, ბინა 26, (ვოგზლის პირდაპირ—ნახალოვკაში).

მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე, თავდება საღამოს 9 საათზე. (24—4)